

## განმარტებითი ბარათი

“საქართველოს კანონის “საქართველოს სამშენებლო კოდექსი” პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დონისძიების თაობაზე” საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 1 მარტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიღება გამოწვეულია “საქართველოს სამშენებლო კოდექსის” პროექტის სრულყოფისათვის გარკვეული დონისძიებების განხორციელებიდან გამომდინარე, ამ დონისძიებებისათვის საჭირო ვადების გათვალისწინებით.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი:

დადგენილების პროექტის მიზანია “საქართველოს სამშენებლო კოდექსის” პროექტის სრულყოფისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ცალკეული დონისძიებების დასრულებამდე, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოს გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომის გადავადება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტით ხდება იმ ვადის გახანგრძლივება, რაც ესაჭიროება საქართველოს მთავრობას საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტსა და იურიდიულ კომიტეტთან ერთად “საქართველოს სამშენებლო კოდექსის” პროექტის შესამუშავებლად. (ნაცვლად პირველად განსაზღვრული 2006 წლის საშემოდგომო სესიისა 2007 წლის 31 დეკემბერი.)

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გაღებას. შესაბამისი ხარჯები გათვალისწინებულია პარლამენტის ბიუჯეტში.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

დადგენილების პროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებში ცვლილებების შეტანას, რადგან განსახორციელებელი ხარჯები გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტში.

**ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

დადგენილების პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან მისი მიღება არ არის დაკავშირებული რაიმე ფინანსური შედეგების დადგომასთან.

**ბ.დ) სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღების საკითხი:**

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება:**

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს არანაირ ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

დადგენილების პროექტი არ ადგენს რაიმე რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

**გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან:**

**გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში, ასეთიას არსებობის შემთხვევაში

დადგენილების პროექტის მომზადებაში მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დადგენილების პროექტი შემუშავდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად, რომელიც მხარს უჭერენ ამ დადგენილების პროექტის არსს.

დ.გ) დადგენილების პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

დ.დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.